

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

„რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრის“ საინფორმაციო ბიულეტენი

პედაგოგები

ინფორმაცია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის შესახებ:

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია **PH International** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) დაფინანსებით. პროგრამის მიზანია, გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და დაეხმაროს ახალგაზრდებს ცოდნის ამღლებლაში, დამოკიდებულებისა და ქვეყნის შეცვლაში, გაააქტიუროს მათი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

რეგიონში პროგრამა უკვე მესამე წელია მუშაობს და ამ ხნის მანძილზე:


- ❖ 23 პარტნიორ საჯარო სკოლაში ჩამოყალიბდა სამოქალაქო კლუბი
- ❖ რეგიონის ოთხ განათლების რესურს ცენტრს ბიბლიოთეკების დაფუძვნების მიზნით გადაეცა სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული ლიტერატურა და პუბლიკაციები
- ❖ ყველა, ოცდასამივე პარტნიორი სკოლის დირექტორებს გავლილი აქვთ აქვთ სემინარი სამოქალაქო განათლების მნიშვნელობაზე.
- ❖ 23 პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგ კურსი „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“
- ❖ სოციალურ მედიაში ტრენინგი გაიარა 170 მოსწავლემ
- ❖ იანვრიდან საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა მიიღო 12 მოსწავლემ და სამმა მასწავლებელმა
- ❖ სხვადასხვა თემებზე ტრენინგი ჩაუტარდა 49 მოსწავლეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500 მდე ბავშვმა
- ❖ სტაჟირება სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში გაიარა სამოქალაქო კლუბის 107-მა წევრმა
- ❖ შედგა 23 საჯარო შეხვედრა რომელშიც მონაწილეობდა 230 ბავშვი
- ❖ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 172 ინიციატივა
- ❖ სამოქალაქო კლუბების ინიციატივების საფუძველზე, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებულია 61 გადაწყვეტილება
- ❖ მცირე გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 21 პროექტი
- ❖ განხორციელდა 5 დამოუკიდებელი პროექტი
- ❖ რეგიონის 31 გამოჩენილი ადამიანთან მოეწყო შეხვედრები
- ❖ პროექტის ფარგლებში გვყავს 2 წარმატებული , 2 საუკეთესო, 2 საუკეთესო მეორეე წოდების სამოქალაქო განათლების პედაგოგი
- ❖ 11 წარმატებული კლუბი დაჯილდოვდა საკლუბო ტექნიკით
- ❖ თითქმის ყველა სამოქალაქო კლუბს აქვს საკუთარი ბლოგი

დიდა პროგრამის დადებითი ზეგავლენა ბენეფიციარებზე მიმდინარე პროექტი მნიშვნელოვანია სამოქალაქო კლუბების მოსწავლეთა აქტიურ, დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში, მათ შორის, მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო ინიციატივისა და ქმედების გამოვლენის სიხშირესა და წარმატებაზე.

საჯარო შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

მიმდინარე წლის პირველ მაისს ლენტეხის მეორე, ამბროლაურის პირველი, ბარდნალის, ონის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების წევრები, სკოლის დირექტორები და სამოქალაქო განათლების პედაგოგები იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბატონ გიორგი ცაგარეიშვილთან. შეხვედრაში მონაწილეობდა ონის მაჟორიტარი დეპუტატი გია ჯაფარიძე. გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ოთხწლიანი მემორანდუმი გარემოსა და ბუნების დაცვის სფეროში მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად ერთობლივი ღონისძიებების გატარების მიზნით.

იმისათვის, რომ მხარეებმა შეასრულონ დასახული მიზნები, წელიწადში ერთხელ: (გაგრძელება მე-2 გვერდზე)





- უნდა ჩაატარონ კონსულტაციები გარემოს დაცვის სფეროში;
 - ორგანიზება გაუწიონ შეხვედრებს, სემინარებს და ერთობლივ სასწავლო პროგრამებს;
 - ჩაატარონ გარემოს აღდგენა-გაუმჯობესებისა და დაცვის ერთობლივი ღონისძიებები;
 - ჩაატარონ ერთობლივი შეხვედრები საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- შეხვედრაზე ასევე გაიმართა დებატები რეგიონში გარემოს დაცვის კუთხით არსებულ პრობლემებზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მონაწილეები მიიწვია პარლამენტის სხდომაზე. შეხვედრის დამთავრების შემდგომ მოსწავლეებმა დაათვალიერეს „პრომეთეს მღვიმე“

ბატონმა გია ცაგარეიშვილმა და ბატონმა გია ჯაფარიძემ სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ „სამოქალაქო განათლებისა და

პედაგოგთა გადამზადების პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილ შემაჯამებელ ღონისძიებაში რათა უფრო კარგად გაეცნონ სამოქალაქო კლუბების საქმიანობას

საჯარო შეხვედრა მომზადდა და განხორციელდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით.



„გადავარჩინოთ ცხენისწყლის ხეობა“

ლენტეხის პირველი საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით, რომელშიც შემდგომში ჩაერთო ლენტეხის მეორე, „ქახუნდერის და ჩიხარემის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბები, მშობლები, პედაგოგები, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდული ფორუმზე მომზადებული პროექტის შესაბამისად 2014 წლის 28 მარტს ჩატარდა აქცია „გადავარჩინოთ ცხენისწყლის ხეობა“

აქციას წინ უძღოდა სხვადასხვა აქტივობები რომელის მიზანი იყო ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ძულარესში, დარიშხნის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიცოცხლისათვის საშიში ნარჩენებისათვის სამარხების მოწყობა და მდინარე ცხენისწყალზე ნაპირსამაგრი ბეტონის კედლის მშენებლობა

პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულმა 25 მოსწავლემ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობასთან. მოამზადა და გაიგზავნა წერილი მოსწავლეების, მშობლების და მოსახლეობის ხელმოწერებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ ქალბატონ ხათუნა გოგალაძესთან .დამზადდა 100 ცალი საინფორმაციო ფურცელი რომელიც გავრცელდა მოსახლეობაში და განთავსდა ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე რომლის საშუალებითაც მოსწავლეები სთხოვდნენ ლენტეხელებს გაერთიანებას პრობლემის მოგვარების მიზნით.

აქციის მონაწილეები მიიწვია ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ხუტა ფურელიანმა რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა სამოქალაქო კლუბების წევრებს, რაიონის პრობლემების მოგვარების მიზნით აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის და ასევე გადასცა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მომზადებული წერილი:

„ პირველი საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „ლენტეხის ახალგაზრდული ძალა“-ს

წერილის პასუხად გაცნობებთ რომ სოფ. ძულარესში დარიშხნის საბადოს ნარჩენებისაგან გამოწვეული სიცოცხლისათვის საშიში შედეგების ლიკვიდაციის მიზნით კეთდება ნაპირსამაგრი-ბეტონის კედელი მდ ცხენისწყალზე. 600 000 ლარის სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით შეასრულებს შ.პ.ს „ავტოგზა ლენტეხი-99“ .

შემოდგომისათვის გარემოს დაცვის სამინისტროს, ნარჩენების განსათავსებლად დაგეგმილი აქვთ სამარხების მოწყობა." აღნიშნულმა წერილმა დიდი სიხარული გამოიწვია აქციის მონაწილეებში. გადაწყდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ასევე ჩართონ რაიონის ახალგაზრდობა ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობაში

აქცია და ყველა აქტივობა მომზადდა და განხორციელდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციის „რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით.

ონის სამოქალაქო კლუბის წარმატებული ინიციატივა

2013 წლის 6 დეკემბერს ქ. ამბროლაურში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრის ოფისში გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი. ონის სკოლების სამოქალაქო კლუბების მიერ შემუშავებული პროექტი „ბევრისთვის უცნობი ჩვენი განძი“, შეეხებოდა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პოპულარიზაციას, რომლის ექსპონატებიც შეტანილია იუნესკოს ძეგლთა დაცვის სიაში.

ონის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტის ფარგლებში დამზადდება საინფორმაციო ფლაიერები, შეიქმნება დოკუმენტური ფილმი, რომელიც განთავსდება ინტერნეტსივრცეში, ქალაქის შესასვლელში დაიდგმება აბრა მუზეუმის ადგილმდებარეობის მინიშნებით.

მოსწავლეებმა ფორუმზე მოწვეულ, ონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, თხოვნით მიმართეს მუზეუმის შენობის შეკეთებისთვის საჭირო თანხის გამოყოფის თაობაზე.

საპროექტო წინადადება ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თეიმურაზ გრძელიშვილმა და შ.პ.ს. „მოედანი“-ს წარმომადგენელმა ბაქარ ჯაფარიძემ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს.

გადაწყვეტილებამ არ დააყოვნა, 2013 წლის 24 დეკემბერს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წერილობით აცნობა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს:

„2013 წლის 6 დეკემბერს რეგიონულ ახალგაზრდულ ფორუმზე ონის სამოქალაქო კლუბის მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადების განსახორციელებლად ონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რემონტისთვის საჭირო 9500 ლარი“

მიმდინარე წლის 5 მარტს რაიონის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბებისა და პარტნიორი ორგანიზაციის ინიციატივით, დაიგეგმა აქცია სარვამართოდ ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მრავალშვილიან ქალბატონებზე საჩუქრების გადაცემის ნიშნით მოსწავლეებმა თხოვნით მიმართეს შპს „ბლაუმშტეინ საქართველოს“ დირექტორს ბატონ როსტომ კერვალიშვილს და მიიღეს დაფინანსება 2700 ლარი აქციაში, აქტიურად ჩაერთო რეგიონის სამხარეო ადმინისტრაცია მათთან ერთად კლუბებმასაცუქარები გადასცეს მრავალშვილიან დედებს.

ნანგრევების ადგილზე ახალი სპორტული მოედანი აშენდა

ონის საჯარო სკოლის ეზოში იყო სპორტული მოედანი , რომელიც დაინგრა პოლიციის შენობის მშენებლობის დროს და სკოლა დარჩა სპორტული მოედნის გარეშე . სკოლის ეზოში ძირითადი შენობის გვერდით არსებობდა ავარიული , მიწისძვრისგან დაზიანებული შენობა , რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ,

სამოქალაქო კლუბის წევრები ვეწვიეთ სკოლის დირექტორ ქალბატონ დალი რაზმაძეს და ვთხოვეთ დანგრეულიყო ეს



შენობა , მის ადგილას კი აშენებულიყო სპორტული მოედანი . რაზედაც დირექტორმა აღგვითქვა დახმარება , მაგრამ აღნიშნა რომ შენობის დემონტაჟისა სპორტული მოედნის მშენებლობისთვის საჭირო სახსრები სკოლას არ გააჩნდა . ამიტომ გადაწყვიტეთ ვწვეოდით ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოს რწმუნებულს ბატონ გივი მეტრეველს , რომელმაც აღგვითქვა დახმარება და საჭირო ღონისძიებების გატარება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად

აღნიშნული საკითხის ონის მუნიციპალიტეტის დახმარებით დადებითად გადაწყდა, დაინგრა ძველი შენობა და მის ადგილას აშენდა ახალი ლამაზი და თანამედროვე სპორტული მოედანი . შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 40,500 ლარს . დღეისათვის ეს სპორტული მოედანი ამშვენებს სკოლის ეზოს და არამარტო სკოლის მოსწავლეებს , არამედ ახლომდებარე მცხოვრებ ახალგაზრდებსაც აქვთ საშუალება ივარჯიშონ ამ

მოედანზე და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით .



მარინა მეტრეველი - ონის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მიმდინარე წლის 27 თებერვალს პარტნიორი ორგანიზაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ონლაინ კონფერენცია, რომლის სტუმარი იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქალბატონი ლია გიგაური. კონფერენციის დასწყისში სტუმარმა ისაუბრა მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, გაუზიარა მოსწავლეებს საკუთარ ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ მათ მონაწილეობის მიღება სკოლაში თუ სკოლის გარეთ არსებული პრობლემების მოგვარებაში. ჩვენი რეგიონიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 16-მა მოსწავლემ. მათ კითხვები დაუსვეს მინისტრის მოადგილეს, რაზეც მიიღეს ამომწურავი პასუხი

კონკურსები

-სოციალური მედია

სოციალური მედიის კომპონენტი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრამის სოციალური ქსელებისა და სოციალური მედიის კოორდინატორი, ქალბატონი თამარ გელაშვილი. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოცხადდა კონკურსი სამოქალაქო კლუბების მოსწავლეთა შორის საუკეთესო ბლოგის გამოსავლენად. ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რეგიონის პარტნიორი საჯარო სკოლების თორმეტმა მოსწავლე-ბლოგერმა. კონკურსზე მოწონება და ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დაიმსახურა ამბროლაურელმა ბლოგერმა გუგა მიქიაშვილმა. (ბლოგის მისამართი: <http://fromracha.wordpress.com/>)



წარმომადგენლები

-საკლუბო ტექნიკის კონკურსი

შეჯამდა კონკურსის შედეგები საუკეთესო სამოქალაქო კლუბების გამოსავლენად, რომელთაც პრიზის სახით გადაეცემოდა საკლუბო ტექნიკა. მთელი საქართველოს მასშტაბით ჯილდოვდება 70 სკოლა, აქედან 30 შეირჩა საუკეთესო, ხოლო 40 კარგი კომპლექტისათვის.

საუკეთესო კომპლექტში შედის **პროექტორი, პროექტორის ეკრანი, ლეპტოპი, პრინტერი-ქსეროქსი-სკანერი, ვიდეო კამერა, ფოტოაპარატი და ფლემ მებსიერება**. კარგ კომპლექტში შედის **ლეპტოპი, პრინტერი-ქსეროქსი-სკანერი, ვიდეო კამერა, ფოტოაპარატი და ფლემ მებსიერება**. აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სასკოლო სამოქალაქო კლუბებმა მონაწილეობა მიიღეს ამ კონკურსში და ხუთმა მათგანმა გამარჯვება მოიპოვა. ერთ კლუბს გადაეცემა საკლუბო ტექნიკის საუკეთესო, ხოლო ოთხს კი კარგი კომპლექტი. გამარჯვებულთა დაჯილდოვება გაიმართება პროგრამის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, რომელიც ჩვენს რეგიონში დაგეგმილია 21 მაისს და რომელიც გაიმართება ქ. ამბროლაურში. ღონისძიებას დაესწრებიან პროგრამის ხელმძღვანელი – კოორდინატორები, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების



USAID
აშერიკელი ხალხისათვის

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE



მოცემული საინფორმაციო ბიულეტენი მომზადდა „**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრის**“ მიერ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია **PH International** (ადრე ცნობილი, როგორც „პროექტი ჰარმონია“) აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) დაფინანსებით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ პუბლიკაციაში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება „**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრს**“ და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

